ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 338

„11" ოქტომბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №55-ის მიმდებარედ, 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (ს/კ №01.14.10.002.080) და ქ.თბილისში, მეტეხის ეკლესიის მიმდებარედ, 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.17.01.117.041) შპს „ი-სპეისისთვის" (ს/კ: 405147087) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №55-ის მიმდებარედ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.080) და ქალაქ თბილისში, მეტეხის ეკლესიის მიმდებარედ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.117.041) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი-სპეისისთვის" (ს/კ: 405147087) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის №37.23.816 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №55-ის მიმდებარედ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.10.002.080) და ქალაქ თბილისში, მეტეხის ეკლესიის მიმდებარედ 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.117.041) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, შპს „ი-სპეისისთვის" (ს/კ: 405147087) თხოვების ფორმით გადაცემაზე.

2. თხოვების მოქმედების ვადა შეადგენს 2 წელს.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**